ემხრენ. რასაკვირველია, რეისტრაციის პარტიათა უმრავლესობა რომ მთავრობის წინააღმდეგ გამოსულიყო, მთავრობის მოთხოვნილება რეისტრაციიდან პანჩურ ნაკრავი გამბრძანდებოდა. მარა გერმანიის ახლანდელ რეისტრაციში არის ერთი ძლიერი კლერიკალური პარტია, რომელსაც ცენტრი ეწოდება. ამ პარტიამ, პირველ სხდომაზევე წამოყენებულ კითხვის შესახებ შეტათ ორ აზროვანი და გამოუტკევე-

ლი მღვდამარობა გამოიჩინა, ჰოც და არა. ერთი მხრით უნდა მთავრობას არ აწყენოს, საჭირო ფული მისცეს, მარა მეორე მხრით ამომჩრეველების შიშით აწუხებს, —ახალი არჩევნები უკვე მოახლოვებულია. რამდენათაც ამ ბოლო დროს გამოირკვა, ცენტრი თანახმა მთავრობის მოთხოვნილება დაკმაყოფილოს, თუ ეს უკანასკნელი კომპრომისზე დადგება და სეკტენტზე ე. ი. 7 წლის ნარდათ ფულის მოთხოვნაზე უარს გააჩვენებს და მხოლოდ ყოველ წლიური საფლოტო ხარჯთ აღრიცხვით დამყოფილდება. იმპერატორის საფლოტო მოთხოვნილება პირველ წაკითხვას შემდეგ რევისტაციის ცალკე კომისიისად ვადევნებ გამოარკვევით.

ჩახან ცენტრი ამ გარდაწყვეტილებაზე გაჩრდა, ცხადია მთავრობის პლანები ფრთხვ შეუკვეცილი რევისტაცში ვერ გავა. მეტი გზა არ არის, მთავრობა რევისტაციის ვადაწყვეტილებას უნდა დემორჩილოს. მარა ვილჰელმი თავის პლანებს არ შორდება და კომპრომისის წინააღმდეგია. ამიტომ, როგორც ვტყუა, იმპერატორის და რევისტაციის შეტაკება აუცილებელია. ხმა დადის, რომ იმპერატორი ამ მიზეზით რევისტაციის დათხოვნას აპირებს. ზოგიერთ გავთეუბის სიტყვით ახლანდელ რევისტაცს ერთი თვის სიცოცხელი კი აღარ დარჩენია. ცხადია, მართებლობა ახალი არჩევნებისაგან თავის მომჩრე რევისტაცს ელოდება. მარა საქმე იმაშია, თუ ეს მოლოდინი ვაუმართლდება. რევისტაცს ადგენს ხალხი, დეპუტატების ამომჩრეველი ხალხია და ხალხი რომ ფლოტის პლანებს თანავრძნობით უყურებდეს, — ეს ძალიან საკეთია. ყოველ შემთხვევაში ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

განსაკუთრებით მუშა ხალხი რომ იმპერატორის პლანების წინააღმდეგია, —ეს ცხადია და ცხადზე კიდევ უფრო ცხადიც. არც აქვს მას სუფძელი, რომ მთავრობის პოლიტიკას თანავრძნობით უყურებდეს. მუშა ხალხი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხედავს, რომ მთავრობა კაპიტალისტების მხარეზეა და მუდამ იმათ იტრეყნებს იცავს. ამის ერთხელ კიდევ სქნადათ დამატკიცებელი საბუთი ახლანან გრაფ პოზაოესკის, საშინაო მინისტრის, მიერ გამოცემული ცირკულიარია. ეს შეგებდა მუშა ხალხის იტრეყნებს და საჭიროცა მოვისენოთ.

გრჯე პოზაოესკემ სენერებული ცირკულიარი საიფულოთ გაუგზავნა გერმანელ მოკავშირე სახელმწიფოების სამინისტროებს. ეს ცირკულიარი თითქმის მარტო კითხვებს შეიცავს. ამ კითხვების მიმართულდება ის არის, რომ მუშათა თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სამინისტროებმა თავისი მოსაზრებანი წარმოათქენ. მინისტრი კითხულობს, თუ

როგორი სასჯელი უნდა იქნეს დანიშნული მუშაების წინააღმდეგ, რომელიც მუშაობის აკეთის დროს აშხანავებს მუშაობას უშლიან და საერთო ვაფიცვის მონაწილეთ ხდიან. როგორ უნდა იმოქმედოს მამონ პოლიციამ, რა სასტიკი ღონის ძიებანი უნდა მიიღოს მუშათა ტერორის წინააღმდეგ, როგორ უნდა შეუშალიან ხელი მუშათა მოთხოვნილების ვაყენას და სხვ. და სხვ. მთელი ცირკულიარის დედა აზრი მუშათა კლასის წინააღმდეგაა მიმართული და კაპიტალისტებს იცავს მუშების მიერ დაჩაგრვისაგან... დასასრულ პოზაოესკი თხოვნა მოკავშირე სამინისტროებს, რომ მათ თავის მოსაზრებანი დროინათ წარმოადგინონ, რათა შესაძლებელი შეიქნეს რევისტაციის ახლანდელ სესსაში საჭირო ზომების დაკანონება.

ეს ცირკულიარი მუშათა ცენტრალურმა ორგანომ („Vorwärts“) ხელში მოგვლია და გამოაქვეყნა. ამ გამოაქვეყნებამ ვაზთებში და რევისტაცში მთელი აღიარება ასტება. რევისტაციის სხდომაზე პოზაოესკი ცდილობდა თავი ვაგმართლებია და მთელი ცირკულიარი მხოლოდ უბრალო კითხვათა კრებულით დაესახა. მე ეს ცირკულიარი სრულებით იმ აზრით არ ვამომიკია, ვითომ მუშათა წინააღმდეგ კანონების შემოღება მსურდესო, მხოლოდ სახეში მექნდა და მექვს ზოგიერთი მუშების უკანონო მოქმედება, როცა ისინი მუშაობის აკეთის დროს ტერორის ხმარობენ და აშხანავებსაც არ ანებებენ მუშაობასო. ამასთან პოზაოესკემ გამოაცხადა თავისი უსიამოვნობა, რომ Vorwärts-ის რედაქციამ მინისტრის საიდუმლო მიწერილობა გამოაქვეყნა. ეს უზრდელიობააო, დასძინა მა.

რასაკვირველია, ასეთი მიხვეული-მოხვეული პასუხით ის მუშათა წარმომადგენლებს ხელიდან ვერ დაუხსლებოდა. ამათ რევისტაცში ქარცეხილი დაანთეს და მინისტრს „ვაკრების ნოკარიც“ კი დაუძახეს... ბატონო, მინისტრო! შესძახა ზინგერმა, —ჩვენ შემდეგ მოიცდის თავი ვაგმართლებით ვამოკვეყნებთ ისეთ საბუთებს, როგორც თქვენი ახლანდელი ცირკულიარია. ზრდილობა არაა! არა, პატონასნა მინისტრმა ყოველთვის ისეთი ცირკულიარი უნდა გამოსცეს ხოლმე, რის დამაღვა საჭირო არაა და გამოაქვეყნება შეიძლება. გვალლობთ, ბატონო პოზაოესკე! თქვენი ამათ დღი სამსახური ვაგვიწიოთ! თქვენი ცირკულიარი მომავალი არჩევნებისთვის ძალიან ვამოგვადგება. ის დაანახებს მუშა ხალხს, თუ ვინ არის მისი მტერი და რას უნდა ვამოელოდეს ის ახლანდელი მთავრობისაგანო... —შორს, შორს ჩვენგან ასეთი სამინისტრო! —ჰქქდა რევისტაციის ტრიბუნაზე ზინგერის თანამოაზრე. —შორს ჩვენგან ასე-

თი მინისტრი, შორს ასეთი მართებლობა! ამას დავიძახებთ ჩვენ მომავალ არჩევნებში. მინისტრის მანიფესტი ამ შემთხვევაში ჩვენი დაუფასებელია. მუშები ყმები არ არიან და ყმები არც უნდა იყვნ. მთავრობას კი მათი ყმებთა გადაქცევა უნდა..."

პოზაღოცის ცირკულიარმა თავიანთი თავისუფალ მოაზრებებშია ვერ ჰპოვა. იქნება დავარულოთ თავიანთი პოზაღოცის კიდევ, მარა ყოველ შემთხვევაში პარტიამ პირ ახლიათ ამის გამოცხადება მინც ვერ გახდება. თავისუფალ მოაზრებებმა მინისტრის „მანიფესტის“ წინააღმდეგ ილაპარაკეს და ის აზრის კი გამოთქვეს, რომ მუშათა ორგანიზაციის უფლებების გაფართოება სასურველია. ცენტრმა მინისტრის განმარტებლობით ისა თქვა, რომ უკანონო მოქმედ მუშების წინააღმდეგ ზომების მიღება დიდაც საჭიროა. ცხადია, ეს მხოლოდ რევოლუციონერ ზომის განსმარტებელ საბუთათა წამოყენებული. გერმანიის კი ხანია „საჯულია დებულება“ არსებობს და ვინც უკანონო მოიქცევა, იმისთვის ამ „დებულებების“ სტატიებიც საკმარისია. ასე რომ ახალი კანონის შექმნა ამ შემთხვევაში სრულიად საჭირო არაა. თუ ცენტრი ამ შემთხვევაში ასე თუ ისე რბილად მოიქცა და დამალული აზრი არ გამოჰქვეყნა, სამაგიეროდ ბარონ შტუმი და მისმა ახალ კონსერვატიულმა პარტიამ გულის წყრობა ვერ დიკავა და პირ და პირ გამოთქვა, რომ მუშა ხალხისთვის თავისუფლება მეტი ბარგაია. მარა იცით, ვინ არის ბარონი შტუმი? ეს გასლავთ მილიონერი, კეთილშობილი, რომელიც ისე არ მიიღებს სამუშაოზე ახალგაზდა მუშას, თუ ამ უკანასკნელმა პირობა არ მიესცა, სანამ მან წლის არ გაეხდებინა, ცოლს არ შევირთავო. ბატონი ბარონი მუშის ცოლის შერთვასაც კი ერევა. მას რომ ჰკითხოთ, ეს ძალიანი წესია, — ადრე ცოლის შერთვა მუშას აწყენსო, ამბობს.

აი, ესეც გერმანიის შინაური პოლიტიკა! გარეო ახალ-ახალი ბაზრების შექმნა, შინ ხალხზე მომეტებული ბეჯარა და ამ ბეჯარით სამაზარი გვემების აწენება, მუშა ხალხის ორგანიზაციის შეფეროება, მუშათა საომარი იარაღის — ორგანიზაციის — დაწოდება, კაპიტალისტების დაცვა, მათი კარტელ-სინდიკატების გაძრავლება, აგრარებისთვის მზარის მიცემა და მუშა ხალხისთვის პურის ძვირფასათ მიწოდება, — აი გერმანიის მთავრობის „ნაციონალური“ პოლიტიკა. თვით კაპიტალისტებიც ამ მუდამ „ნაციონალიზმზე“ და „პატრიოტიზმზე“ მდგრადან. როგორც ეტყობა, ეს რაღაც პატრიოტიზმია ძალიან ბუნდოვანი რამეა...

ფ. პატრიკილია.

Xდელათა კითხვა.

(ბ. ე. ვაშკაძის წერილის გამო)

(შემდეგი)

მ. ლელათა კითხვა და თანამდროვე ცხოვრება

და დასკვნა უნდა გამოვიყენოთ ზემოთ მოთხრობილ არაკიდან? (ბ. ვაშკაძე, ვფიქრობთ, რაცა ვთქვით იმას არაკით დასახეს.) ის, რომ დელათა კითხვა არი კითხვა სოციალური და არა ფიზიოლოგიური, როგორც ფიქრობს ბ. ვაშკაძე. ეს კითხვა იყო, არი და იქნება მჭიდროთ შეკავშირებული წოდებათა და კლასთა ბრძოლის კითხვასთან; ვინც სხვებს უყურებს ამ კითხვას, ის ან განგებ იფარებს გონების თვალზე ხელს, ან არა გუფებარა მისი, რაკი ეს ასე გახლავთ, დელათა კითხვის გადაწყვეტისათვის უნდა მიფართოთ საზოგადოებრივ ცხოვრებას და არა ქალის და კაცის ტენის. ადამიანის ტენის სიძლიერე, მისი აუჯარჯიანობა ცვალებადია; იგი სრულიად დამოკიდებულია მზეზე, თუ ვინ როგორ, რა პირობებში ავარჯიშებს თავის ნიქს და ტენის. მოჰყავს რა ცნობები ქალის და კაცის ტენის შეხსებებ მეცნიერ კრედიტის, აშობს: მეცნიერებმა ხელზე დაიხვიეს ეს ცნობები და წინააღმდეგ შეიქნენ ქალთა ემანსიპაციისა, მეცნიერება ასეთ შემთხვევაში ხდება ზოლმე გამოშხატული უკიდურესი სოციალური ფილისტერაზისა. უკანასკნელ დროს უღმობელი ეკონომიური პირობების გამო ქალი იძულებული შეიქნა ბაზარზე გამოსულიყო და გარემე იჯახისა მოეყიდა ხელი შრომისათვის. ამ ველენბას ურიგდებოდენ იმენათ, რამდენათაც ის შეეხებდა უზრალთა მუშა დღე-კაცს. თით ათასი მუშა ქალი შრომობდა ფაბრიკებში და მეცნიერი ეკონომისტები კი რეტროგრადს უწოდებდენ ყველას, ვინც ამ მოვლენის წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ემანსიპაციურ მარჩობაში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი კლასის ქალებმა და მართხორავს უფლება გონებრივი შრომისა, მეცნიერების წარმომადგენლებმა კითხვა აღძროს: აქეთ თუ არა ქალებს ამისი უფლება და შეუდგენ ქალის ტენის აწონ-დაწონას და ზომავს, რომ ამ გზით უარ ეყით რასაც ქალები თხოულობდენ. აღმოჩნდენ ისეთებიც, რომელნიც წინააღმდეგ ენით მზრით ქალის განათლებას, რომ ამით ვითომ და დავეათ ინტერესები იჯახის; მეორე მხრით დაკულიყო ინტერესები ინდივიდუალური თავისუფლებისა. ერთ ანტროპოლოგიურ კონტრესტზე გერმანიაში აღმოჩნდა მეცნიერი, რომელიც უარ

ჰყოფდა ქალთა ემანსიპაციას იმის გამო, რომ ქალი უფრო წაავსებს ცხოველს, ვინემ კაცი: ქალს თმა გრძელი აქვს, იკბინება და იკაწრება; მისი ხერხემლის ძეგლები ხშირათ არ არი ვადამბული ერთმანეთზე, როგორც მამა კაცისა. რომ ღირდეს ასეთი მეცნიერული საბუთების შეკრება, დაინახავდით რომ ხშირათ ბრძოლა სხვა და სხვა რწმენათა შორის მეცნიერების ნიღბ ქვეშ ამოჰყოფს ხოლმე თავს. არიან თუ არა ვადამბული ქალის ხერხემლის ძეგლები, ვინემ მამა-კაცისა, მეტია თუ ნაკლები ქალის ტვინი. კაცისაზე—ემანსიპაციური მოძრაობა არ შეჩერდება, რადგან იგი გამოწვეულია ფულის მოპოვების საჭიროებით გარეშე ოჯახისა და ვაგრძელდება მანამდის, სანამ მისი გამოწვევები პირობები არ მოიპოვებინან. თუ ქალის ტვინს აქვს რამე მნიშვნელობა, — არა ემანსიპაციისათვის, არამედ იმ შედეგისათვის, რომელიც უნდა მოჰყვეს ქალის გონებით მოღვაწეობას მისი განათვისუფლების შემდეგ..... უმადლესი გონებრივი განვითარება ქალისა უნდა შედეგი იქნეს ქალის ემანსიპაციისა და არა პირობა, რომლის გამოც უნდა მივნიჭოთ ქალს თავისუფლება.... საყურადღებო აქ ისაა, რომ მეცნიერება (სმენა ბ. ვაშაქიძე) იმის მაგივრათ რომ გამოანხოს საშუალებანი, რომელთა წყალობით ქალის მდგომარეობა შეიქმნეს უზრუნველ ყოფილი ადამიანის ღირსებისათვის ბრძოლაში, იგი თავს იქცევს მაგალითათ შემდეგი მოსაზრებით: შესაძლოა თუ არა ქალები-სთვის გაილოს კარები მეცნიერებისა, როცა მისი კანი უფრო ნაზია, მისი ხერხემლის ძეგლები იშვიათათ ვადამბული, მისი ტვინი უფრო მცირე ვინემ მამა კაცისა. ესეთი მოვლენა მეტათ **სასათაობად** იგი ვეგონებს მონაობის მოშორებით, რომელიც გაიძახოდნენ. რადგან ზანგი უფრო მიიმუნს წაავსებს, ამიტომაც მონათ უნდა დარჩესა“.....¹⁾

ჩვენ აქ ნათქვამს დადებით, რომ ჩვენი მოძღვრები ამ კითხვაში ცხონებულ ლუარსაზზე შორის ვერ წასულან: „შენც ვაქვს გონება, მარა სად დედა კაცის გონება, სად მამა-კაცისა“ ან როგორ კრიდა დედათა კითხვას (დარბასელი თავადი, ²⁾ ლუარსაზი

ფიქრობდა, რომ ის უფრო ჰქვიანი, უფრო დიდი ტვინის პატრონი იყო დარეჯანზე, თუმცა როგორც ჩვენ ავტორის ისტორიული ფაქტები, ბუნებრივი გეოგრაფიული და სხვა ხოლმე: ამიტომაც მას მეტი უფლებაც უნდა ჰქონოდა დარეჯანზე. ესეთივე პრინციპით ხელმძღვანელობს დღეს მეცნიერებით აღჭურვილი ბ. ვ. ვაშაქიძე. თუ რამ განსხვავება მათ მსჯელობას შორის ეს განსხვავება მხოლოთ რაოდენობითაა, ვინემ თვისებრივი (ეტიკეთი ბ. ვ. ვაშაქიძეს სიტყვებით). ჩვენი ავტორის მოსაზრებანი მეცნიერული ტერმინებითა მოჭადრაკებული: ფისიოლოგია, ფიზიოლოგია, ტაზი, გამობერილობა *sensibilité, la sensibilité tactile...* ერთი სიტყვით აქ ბ. ვ. ვაშაქიძე ვგონებ ოსტროვსკის გიორს მოვგავონებს, რომელიც უმეტრებს აზინებდა ისეთი პრეტყელ-პრეტყელი სიტყვებით, როგორც მავალ. „Металь“ და სხვა. მართალია ლუარსაზისათვის ქალების განათლებაზე ლაპარაკი კი შეუძლებელი იყო; ბ. ვაშაქიძე კი ამბობს: მე ქალების განათლების წინააღმდეგი არ ვარო, მარა ვინ არ იცის, რომ *съ одной стороны нельзя не сознаться съ другой не признаться*, ჩვეულებრივი უმნიშვნელო წესია ორკუთხა აზროსათა.

ოლ—და.

(შემაკვი იქნება)

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა დ ე ი ა .

(მ ო ა მ მ ე კ ა მ ე 2, 1898 წ.)

მომამის თებერვლის ნომერში, „საქართველოს სიძველენი“ს გარდა, თორმეტი სხვა და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებია მოთავსებული. იმათში შეიღდი ორიგინალურია და ხუთიც ნათარგმნი. მთელი ნომრის ორი მესამედი ბელეტრისტულ ნაწარმოებს უჭირავს, რიცხვით შეიღდს; დანარჩენ ხუთში პირველი ენება „ეფუხის ტყაოსანს“, მეორე ესტეტკას, მესამე მოგზაურობას, მეოთხე ისტორიას. ხოლო რაც შეეხება მეხუთეს, რომელიც სულ ბოლოშია მოთავსებული, სახელად ბან ნ. ურბნელის წერილს („მესამე დასი და ბურჯუხია“) ჩვენ შემდეგ ვაგივებთ, თუ რა ვერა ლიტერატურულ ნაწარმოებს ეკუთვნის ის. ბელეტრისტულ განყოფილებაში მკითხველის ყურადღებას, რა თქმა უნდა, მიიქცევს


1) Л. Крживицкій Антропология стр. 260.

2) როგორც სხვათ ჯვრათ ვითხვა ლუარსაზის დროსაც ყოფილა, ბ. ვაშაქიძე კი გვარწმუნებს, ამ კითხვამ გუშინ ამოჰყო თავი ჩვენ ში... .

ორი ორიგინალური ნაწარმოები: ბ-ნ შ. არაგვისპირელის „ორი მკურნალი“ და ანტონ ფურცელაძის პოემა „ცისკარა.“

შ. არაგვისპირელის ესკიზს ჩვეულგებრივად პირველი ადგილი აქვს დათმობილი. და მართლაც ეს ახალი ნაწარმოები გარკვენი ფორმით და სილამაზით რამდენიმეთ მოგაგონებთ ხსენებული ავტორის წინანდელ ნაწარმოებთ, მარა მხოლოდ მოგაგონებთ. „ორი მკურნალი“ დედა აზრი ყალბ საფუძველზეა აშენებული: ასე გამოდის, რომ ჭლებით ავთმყოფს ნამდვილი ექიმი კი არ შეეღის, არამედ ახალგაზდა საყვარელი ქალი, თავისი გადამეტებული აღივსით. შეიძლება ასეთი შემთხვევა მართლაც მოხდეს სამდე, თუმც ჩვენ ძალიან ეჭვობთ, მარა ეს ტიპიურ მოვლენას არ შეადგენს. ამას გარდა ხსენებულ ნაწარმოებს არ ეტყობა ბ-ნ არაგვისპირელის შემოკმედებითი ნიჭის გაყენა, მარა რაც უნდა იყოს, მთელ ნომერში „ორ მკურნალს“ სიამოვნებით სულ სხვას წარმოადგენს ბ-ნ ანტონ ფურცელაძის „ცისკარა“ რომელიც ჯერ არ დამთავრებულა და მაზე ლაპარაკი ნაადრევია იქნება.

აგერ მესამე წელიწადია რაც „მოამბეში“ იბეჭდება ბ-ნ ალ. ს.—შვილის გამოკვლევა „გუგუსის ტუპისის უღაბი ადგილია“. „გუგუს“ პირველ წელსვე აღნიშნა ამ გამოკვლევის მნიშვნელობა. ავტორს მართლა შესანიშნავათ შეუსწავლია რუსთაველის პოემა. ამასთანავე ბ-ნი ს.—შვილი ხმარობს ისეთ მეთოდს, რომ, თუ საქარისათ შეიგნეთ ის, თქვენ თითონ შეგიძლიათ გამოიცნოთ „ვეფხისტყაოსანში“ ყალბი ადგილები,—და ეს ხომ დიდი ღირსებაა. ჩვენ მხოლოდ იმის გვეშინია, რომ ბ-ნი ს.—შვილი მეორე უკიდურესობამდე არ მივიდეს და თვით რუსთაველის მიერ გაზეიადებული ადგილები ყალბებათ არ მიიღოს, ეინიდან ალაგ ალაგ გაზეიადება მასაც უყვარს ხოლმე. ავტორის საყურადღებოთ შეენიშნათ კიდევ შემდეგს: ავტორი კარგს



მომბლანზე ასვლა.

იზამს თუ რომ „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები ბის ბეჭედს ჩქარა დამთავრებს და ასე მისხლობით არ მოგაწოდის ხოლმე ვეფხისტყაოსნის ყალბ ადგილებს“. შემდეგ „მოამბეში“ მოთავსებული ბ-ნ ით—ანის თარგმანი „სულაგუნეს სოციალგოგუსის (?) აზრით“ (გაგრძელება, IX—XII), რომელსაც სიამოვნებით ვუთმობთ ბ-ნი კიტას თავისი ესკეტაუნი შესჯავნის დასადებათ! ბ-ნ სახაკიას წერილები „გურია-აჭარაზე“, თუ არაზიმებს გამოეუფებთ, არ არიან ინტერესს მოკლებული. ხოლო „არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები საქართველოს შესახებ“ ეურჩეთ მთარგმნელს, ბ-ნ ი. მაჭავარიანს, ისევე არაბულ და სპარსულ ენებზე გადათარგმნოს ან ვისევე გადათარგმნინოს: შეიძლება არაბებმა და სპარსელებმა გამოიყენონ ეს „ცნობები“ თავის ისტორიის შესასწავლათ; ჩვენთვის კი იმათ არაეფთარი მნიშვნელობა არა აქვთ. დარჩა ორიბი დი სიტყვის თქმა ბ-ნ ურბნელის წერილებზე.


რამდენათაც ვიცით, ბ-ნი ურბნელი პირველათ ჩნდება „მოამბის“ პუბლიცისტურ ფურცლებზე; დღე

მდის მისი სამწერლო ადგილი „ივერიის“ რედაქცია იყო. ჩვენ ვერ აგვიხსნია, რას უნდა მიეწერებოდეს ბნ ურბნელის „ივერიიდან“ „მოამბეში“ ვადაბარგვა. მთელი თავისი ლიტერატურული ავლა-დიდებით. შეიძლება ეს იმ გარემოებას მიეწერება, რომ ბნ ურბნელს მისთვის სრულიად უცნობი საენისთვის მოუყვლიდა ხელი, და რადგანაც ამ შემთხვევაში „მოამბე“ ყველას თავ შესაუარათ ითვლება, თავისი უთაგ-ბოლო წერილიც იქ მიუტანია დასაბეჭდავთ. ის უცნობი სავანი, რომელზედაც ჩვენ ავტორს სა-ღერღელი აშლია, არის მარქსის ისტორიული მო-ძღვრება. „საეკონომიო(!) მატერიალიზმის შესახებ— ამბობს ბ-ნი ურბნელი— კარგია და ავიც ბევრი თქმულა და დაწერილა!“ ეს ჩვენც ვიცით, ბ-ნი ნ. ურბნელი, მარა რა? თქვენთვის ხომ ყველა ამ „თქმულს და დაწერილს“ სრულიად ამათ ჩაუყ-ლია. ხსენებული მოძღვრების შესახებ რომ თქვენ სულ ცოტა რომ წაგეთხათ და შეგვენოთ, იმოდენ-სა შეგიძლარი აზრებითაც ხომ არ გაავსებდით „მოამ-ბის“ ფურცლებს. სამწუხაროთ, თქვენ ოდესმე ყუ-რი მოგვრავთ უაზროთ ნასროლ სიტყვებისთვის, „სტოვრების ქვეკუთხედი და მისი მთავარი ძარღვი საეკონომიო ფაქტორია და სხვა არაფერია“ და თქვენც ათი ათასჯერ დაღვილი სოფიზმებით, მაგ. „ეს ცალ კერძა, უჩიდურსი და წრეს გადასული მოძღვრებაა“ და სს. გსურთ ფონს გახვიდეთ. არ იფიქროთ, რომ თქვენ აქ „ორგანებრივმა არსებამ“ გისნათ ან კიდევ შემდეგმა ტრუიზმა: „არა ერთითა პურითა ცოცხალ არს კაციო!“ დიან: არა მარტო უაზრო სიტყვები და ტრუიზმები საკმარისი მწერ-ლისთვის! თუ რამდენათ გზა ახნულია ბ-ნი ურბ-ნელი, ამას სხვათა შორის, შემდეგი მისი აზრები მოწმობს: „ჩვენი ფრი გონებრივით და ზნეობრივით ძრიელ წინ წავიდა, მაგრამ სამაგიეროთ ეკონომიურა-თაა ჩამორჩენილი; და თუმც „აკაობრიობა უფრო მეტ ფას სდებს გონებით და ზნეობით ზნეობას, მარა საეკონომიო პროგრესიც არა ნაკლებ სანატრელია“ (გვ. 78): როგორ უნდა მოხდეს ჩვენში ეს „საეკონომიო პროგრესი?“ ამაზე ჩვენი ავტორი არ იწუხებს თავს; ის მხოლოთ ვაიძახის, რომ ჩვენში არც ბურჟუაზია და არც კაპიტალისტური წარმოება. ჩვენში წინეთ ვაჭრები (სოხმები) იყვენ, დღეს ვაჭ-რები ჩარჩებათ ვადაქცეულან. „მოამბის“ ახალი პუ-

ბლიკისტის გონებაში, კაპიტალიზმი არ არის იმი-ტომ, რომ ჩვენში მდლარი ღირბის ოფლით კი არ ცხოვრობს, როგორც ევროპაშია (82 გვ.) და-სასრულ ყოველისა, ჩვენ არ მოგვებოგება საქარსნო და სამწყველო მუშა საღის“ (გვ. 82, ხაზს ჩვენ ვუსვებთ)! ასეთი დაბრმავების მავალითს ჩვენ დღეს მეორესაც ვეღარ მოენახათ.

ასეთი გაცეითილი ფრაზები, კახანია ბ-ნი ურ-ბნელის წინ ბ-ნმა ლაღმა გამოთქვა „მოამბეშივე“ მარა ბ-ნი ურბნელი დარწმუნებულია, რომ ეს პირ-ველათ მან აღმოაჩინა! ყველა ამ ჩხახვ. თან და თვლის დახუტვასთან გასაკერველი არ არის როცა ბ-ნი ურბნე-ლი „საეროვნო მიმართულების“ დაარსებაზე ველოაპ-რაკება, „რომელსაც დიდი ღვაწლი სახელოვანმა(!) ფრიდრის ლისტმა დასდო!“ ეინც თანამედროვე პო-ლიტიკური ეკონომიის ისტორიას იცნობს, იმან კა-რგათ იცის თუ რა მიმართულებას „დასდო დიდი ღვაწლი სახელოვანმა ფრიდრის ლისტმა“. ეს მიმარ-თულება წმინდა ზუჭუჭუხუღა იყო, ნაციონალური მანტოში გახეყელი და სხვა არაფერი. დეთაჩის ასეთ არეულობაში გასაკერველი აღარც ის არის, რომ ბ-ნი ურბნელი ბ-ნი დალსაც „მესამე დასვლით ხდის (გვ 86)! ერთი სიტყვით, ბ-ნი ურბნელში „მოამბეში“ მოიპოვა ნამდვილი თავის საკუთარი სახე, თავისი ნამდვილი განხორციელება: ამაზე მეტი გზის აბნევა, და გაუგებრობა, ეკონომთ, შესაძლებელი აღარ უნდა იყოს. ევოლიუტიაა მა რა ჯანდაბა!

მკითხელი.



ოაცდა-ხუთიანის ნაამბობი.

სწორეთ უბედურ მივარეზე ვარ დაბადებული! როგორც კი გამოეყავ ცხვირი ზარაუხნადან, ჯერ კიდევ გვერდები გახუტებული მქონდა; ოფლი წურ-წურით ჩამოდიოდა, მინდოდა სიოსთვის მიმეშვირა გული, რომ ვაგვირღებულყავ, მარა ეინ ვაცალა.. წამადღეს ხელი, „ოპო, პო, პო! ცხელია, ცხელია“-ო დამახებს, ერთიც კარგათ მაკოცეს, მერე მიმკეც-მო-მკეცეს, დამაწყვიდეს საფულეში და ჯიბეში ამომა-ყოფის თავი! თქვენი მტერი დახუთულა, მე იქ დახუთული ვიყავი! ნამდვილი საპრობილე იყო..

საქართველო

და ეს წყუღილი სპილენძის და ვერცხლის ფულები ხომ უარეს დღეს მაცნებდნენ. ჩემ წახ და სათუთ ვერცხლებს სასტიკათ ეხანუნებოდნენ და, თვეწინ მტერი, მე წმულებული ვიყავი... კიდევ მადლობა ღმერთს რომ იმათთან დიდხანს არ დაეჩინებოდა. ერთ დღეს ბატონს სახარჯო გროშები დაჭირდა, ამოგვიღო ჯიბიდან მე და ჩემი ტუფუცი მებზობლები, გახსნა საფულე და, ქვეწიერება რომ დაეინახე, აწორე მოგახსენოთ, გული ამითრიოლდა. მოგვსენებათ ახლოვანდას ხასიათი: მას სულ მზიარულები და ღრობების ტარება სურს; და მეც, როგორც ახლათ ფეხ-ადგიმულ ბავშვს, ჰაერში ფრიალ-ფრიალი, კუნტრუში და ნაფარლობა მიწოდდა. მეგონა, ახლა-კი მეშველა მეთი, მარა, არ გაგოწყრეთ ღმერთო! ბატონმა რომ გროშებში ვარეული მწახა, ჯერ თათქო წარბები შევიჭყუნა, მერე ზეითი ამომიღო, ვადა მზიარულ-გამდამარუნა, ღმირი-მორეულმა ერთი კიდევ მაკაყა და ის იყო და ის! გადამიძახა საფულეს მეორე განყოფილებაში!.. აქ საუმჯობესო ის იყო, რომ წერილი ფულები გვერდებს აღარ მხებდენ და დახუთული კი აქაც ვიყავი, რასაკვირველია. მშვიდობით, ოცნებით საესე ახალგაზრდაზე მეთი! აქედან ვათავისუფლებას ვეღარ ვეღირებდი, ვაქრულდა ყველა ჩემი იმედები მეთი, ვფიქრობდი; მარა, მადლობა ღმერთს! ერთ წელს შემდეგ ბატონს დაეჭირდი, ამომიღო ზეითი და სხვას ვადამცა. მზიარულთ ვიყავი, სულ ტყი-ტყი-ტყიანი გამქონდა; მეგონა, აქ მაინც ვეღირსება საწაფლად მეთი, მარა... აკი მოგახსენეთ, რომ უბედურ მთავარზე ვარ დასაღებელი თქო? „ეს მზე იღისთვის დაპირდება“; თქვა ახლმა მებატონემ და ჩამამწყვდია საფულეში მე მართლაც „შე დღეს“ გაჩენილი... ამის შემდეგ ღმერთს სულ იმას ეთხოვდი, რომ ჩემ ბატონს ის „შევი დღე“ მალე დადგომოდა, რათა აღე ვადავსულიყავ სხვის ხელში. დაუდევრობა, მოუსვენრობა, ატარ-მატარობა, სხვა-და სხვა ჯიბეებში: საარული ჩემი თან დაყოლილი თესება იყო. მარა მე რათ მებძახება?—როგორც ვიცი, ყველა ჩემი თანამგვარებეც ასეთები არიან. მე ყველასთან მიმეხალისებოდა, მარა დიდხანს ყოფნა კ არავისთან მიწოდდა და, თუ იმ პირველ ბატონის ხელში ერთ წელიწადს ვიყავი, ეს ჩემი კი არა, იმ ბატონის ბრალი იყო. მე მაინც ღმერთს ეთხოვდი რომ ჩემი ხასიათის ბატონები შემხებდნოდნენ... ვაჟიდა მტკრე ხანი და ბატონმა, არ ვიცი ის „შევი დღე“ დაუდგა, თუ როგორ იყო, ამომიღო ჯიბიდან და ერთ მსხველ კაცს ვადამცა. ეს ახალი ბატონი საუცხოვეო კაცი იყო, მისთანა ჯერ კი მენახა... ამის საფულეში ჩემისთანავე ბებერი დახებდენ, უხეხებეც და უფრო ახალგაზრდებიც: ვაჟიდა ერთი კვირა

ჩემი ამ ახალ ჯიბეში გადასვლის შემდეგ დასაბუთებულნიც ჩაჯდა მატარებელში და სახმრეთისკენ გამაქანა. გზაში ბევრი რამები ენახე ბოლოს ჩავედი ერთ შეწინიერ ქვეყანაში, რომელსაც ჩვენში „გერქუხას“ ეძახიან და აქ კი—საქართველოს. ბევრი რამე მქონდა ვაგონილი ამ ქვეყნის შესახებ, მარა იმის შესამედო არა; რაც ნამდვილათ ყოფილა. —მართლაც შეწინიერი ქვეყანა, —ხმა-მალა დაეწევა ლაპარაკი, —ასე ყველაფერი შეწყული არაფერი მინახავს!.. ჩვენში ასე მორთულ-მოკაშული „ბარიშები“ და პატარა-ძღვებიც არ იყვენ ქვეყნის, მალხაზი, ტყიბული... ნეტავი მას, ვისიც სამშობლო ეს არის! ნეტავი მეც აქ დავბადებულყავი!.. მაშინ ჩემი სამშობლოს სიშენიერი თიამაყებელი და ახლა კი... „სესეს, სესეს!“ მომამახსენა აქეთ-იქიდან და მეც დაემორჩილი ბრძანებას, ენაზე ვიკინებ, ხმა ჩაიწყვეტიე. გულში კი ვამბობდი: ნეტავი ერთი ამ ქვეყანაში მიმოსვლა შემეძლოს, რომ უფრო დაახლოვებით გავიცნო აქაურობა მეთი.

აგისრულდესთ ყოველი სანატრელი, როგორც მე ჩემი ნატურა ამისრულდა. —ერთ შეწინიერ დღეს ამ ჩემ ახალ ბატონს ვიღაცა აქაური „ქნაიზი“ ესტუმრა. სწორით ნამდვილი ვაქაი იყო, ჩვენში იმისთანა არენი მინახავს! —ლამაზი ხასიათი, მაღალი, აზოვანი და სხვა და სხვა... ნეტავი შენ მშობელს და შენ სამშობლოს მეთი. ვამობდი გულში, —ერთი შენ ხელში მოსვლის ღირსი ვაზნადა და... მართლაც, სტუმარმა ისადილა, ისიამოვნა და ბოლოს თქვა: —„კარაბეტი ერთი სიკეთე მიყავი; ფულე ბი დაქირადა და, ხომ იცი, უნდა მასესსა! თამასუქსაც მოგცემ და გირაოთ ახალი ვაწმენებული ზეარი რომ მაქვს იმასო“. მე გული ამიტოყდა სიხარულით და ღმერთს ეთხოვდი, რომ ჩემი ბატონი სტუმრის თხოვნაზე დათანხმებულიყო. მართლაც კარაბეტმა „ჰე, ჰე, ჰე, ჰე“, ერთი ჩაიხიხინა, ვაიკარა ჯიბის ხელი და ამოალაგა სხვა და-სხვა ღირსების „სიგნალები“, მათ შორის მცეც, და ვადამცა სტუმარს, რომლისგანაც თამასუქი და გირაოს ქალაქები ჩიხაზა. ვამხარადა, აღტაცებაში მოსულმა ჰაერში ფრიალი ვიწყე... კარაბეტმა ხელი წწამავლო, არსად დაიკარგოს. „ეფთხილოს, სად დააკარგებო“, თქვა „ქნაიზმა“. ავაშენა ღმერთმა! აი ჩემი ხასიათის კაცი ეს იქნება მეთი. —ფრიალოს კი, მარა მიეჩქევა ფრიალს და ჯიბიდან არ ამოგეფრიალდესო —ჩაიხიხინა კარაბეტმა.

ჩემი ახალი ბატონი ვამოემშვიდობა კარაბეტსა, მივიტარე მოვიტარე ქალქში რალაკეები და საოფლისკენ გასწავი; მე ჯიბეში ჩაიჭირე. მიმიტანა შინ, მარა რა გინდა. მიხებდ-მოხებდაც ვერ მოვასწარ ხალხში, მეორე დღე

სეკულიზაციის მიზანსა და ქალაქისკენ გამაქანეს! გზაში ხშირ-ათ მშინჯავდნენ ხოლმე, ეტრიალებდი მათ ნაზ და სათუთ ხელგებში და, უნდა ვთქვა, რომ რალაც შეგების გრუანტელი მივლიდა ხოლმე ტანში... ერთმა ახალგაზრდას და მინახა კველუც ქალების ხელში რომ ვიყავი და გულ ამოსკენით ჩაილაპარაკა: „ახ, ნეტავი შენ, ოცდა-სუთიანა... შენადვილზე მე ვიყო ახლა და...“ ამ დროს ქარმა წამოიშეროლა, გაიბაცა და სადღაც ბურღში შემხვია! „უჰო!...“ ერთი თქვეს ქალებმა და მეტიც არაფერი! წაიღნენ თავის გზაზე. ვიყავი ბურღში გახვეული, დღე და ღამეს ვარეთ ვთვედი; კიდევ მადლობა ღმერთს, რომ კაი დარები იყო, თორემ თქვენი მტერი, მე დღე დამადგებოდა.. მტერი კი ბლომით მომავარა ქარმა. გავიდა ხანი და ერთმა სოფლის ბიჭუნაკმა, რომელიც ბურღ ჩარგებში ჩიტის ბუდეებს ეძებდა თურმე, უცერათ მიპოვა, მოეწონე თვალში, ამიღო და შინგვა დამიწყო, არ იცოდა რა ვიყავი. უტბათ ვიღაც ქურქოსანი შეპოგევარა; ამან ბავშვის ხელში რომ შემნიშნა, თავს თვის მომინდომა: „მომეცი, ძიავ, ეს ქაღალდი, თუ თუნის გამოსახვევით მჭირდება“, უთხრა მან ბავშს და უკანსკენლმაც ვადამცა მას, როგორც არა საქირა ნივთი. ქურქოსანმა სიხარულით დამშალა თავის ღრმა ჯიბესა შინა, სადაც ჩემისთანები ბევრნი იყვნენ. გავიდა ხანი, ქურქოსანს ვაზეთები მოუღიდა, სადაც ერთი ქველმომქმედი ერთ ფრიად საქირო საზოგადო საქმეში ნივთიერთ დახმარებას თხოვედა ყველას, ვისაც კი შეძლება ნებას აძლევდა, მე სიხარულით ალაგზე ვეღარ ვდგებდი, მინდოდა წაესულყოფე იმ ქველმოქმედს დასახმარებლათ. ვფიქრობდი, რადგანაც იმ ბავშვმა არ იცოდა, რაში ვიყავ გამოსადგევი, ამან ხომ იცის და ავერ ასაბრეზიც გამოჩნდა მეთქი!—მარა თურმე აქაურები ამისთანა თხოვნა-დალადს ყურადღებას ნაკლებათ აქცევენ და ამ ჩემმა უჯგერო პატრონმაც ყური მოიყრუა!.. ის დალოცვილები სულ თხოულობენ, ახლა აქ დაგვეხმარეთ, ახლა აქო! საქმე შემოლვევითაო*, წაიბურტყულა. სამაგიეროთ მეორე დღეს სამიკიტროში წამიღო, მოითხოვა ლენია, საქმედა საკრავები და იმ დღეს სულ „ვარხალალო“ იძახა. „ოხრათ შეძენილს ოხრათ დაეხარჯამო“, ამოზბდა გულში ქურქოსანი და კარგათ რომ შექეფიანდა, ამომიღო ჯიბიდან მიმარკა ვრძელ ჯოხზე და, ერთხა! ვითომც ბიარალი ვიყავი, მალა-მალა დამაფრიალებდა... ფრიადი, როგორც ზევით მოვახსენეთ, მე სულ მიყვარდა, მარა აქ კი ნამეტანი მომივიდა: ბურღში ნავლები და გამტერიანებული ახლა სულ წელში გამტეხეს! ეწყველიდი იმ დღეს, რა დღესაც მე ავით ხელში

ჩავეარიდი! მოეტყუედი, სწორეთ მოეტყუებდი! ჩემი მალა ფრალით რომ გული იჯერა ქურქოსანმა, ახლა ხელში დამიკავა და ქმუნა დამიწყო. კიდევ დღამდა. ქურქოსანი ძალზე დათვრა და ბანდალ ბანდალით სახლისკენ წავიდა; მე სამიკიტროში დავჩინი.

გავიდა ხანი. მიკიტანს ლენია შემოაკლდა და საყიდლათ რომ წავიდა, მეც თან წამიღო. მიმიტანა ვაქართან, რომელიც ახლა „ქნაისთეული“ ზერებთან შეწინერ ლენიოებს ყიდდა; იყიდა ლენია და მე ვეპარს ვადამცა. შეგხედე, გამეცინა, ვიცანი; იმანაც მიცნო, დიად, მიცნო, ვადამბრუნე-ვადამომბარუნა და ჩაილაპარაკა; „ვეი, ჰეი! როგორ ვაუტყუქუნიანებიანთ!.. სრულებით ფულის შენახვის უნარი არა აქვთ ამ ბედოვლათ ქართველებსო!..“

დ. თამაშვილი.

ამ ნომერში ნახმარი საჭიროა უტყბო სიტყვების ახსნა

ანტროპოლოგია—განის განვითარების ბუნებრივი ისტორია; ემანსიპაცია—განთავისუფლება; კომპრომიზისია—დროებითი შეთანხმება; მორალური—ზნაობის; ოპერაცია—საქმის წახმობა; რეტროგრადი—უკან დაბრუნება, წინ მსუჯელობის მტერი; სესია—სსდა.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართული წიგნის მალაზიებში მ. ა. ბარბაქაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნი

სააგრონომიო გამოცხადებები

(შმა კიდეურები ჩვენს სოფლებში)

თ. ნ. ტ. და დიანიისა

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ღირს 15 კაპ. ვინც ას წიგნს ერთათ იყიდის გამოცემლისაგან ქ. ქუთაისში დღეთომბა მანეთზე ერთი აბაზი.

(10—4)

ქვედატოვ-გამომცემელი ან. თ.-ქვეთაძის.